მარტი

რეკომენდაცია

- ✓ ფუტკრის ოჯახების მონიტორინგი დაავადებებზე, ვაროას კონტროლი
- ✓ დაუშვებელია ანტიბიოტიკებით „პროფილაქტიკა“, დაავადებების შემთხვევაში იმოქმედეთ ვეტერინარის ინსტრუქციის შესაბამისად
- ✓ საკვები მარაგის კონტროლი
- ✓ ფუტკრის დედების კონტროლი კვერცხდებაზე
- ✓ ბუდის გაფართოება აშენებული ფიჭებით ამინდის და გარემო პირობების შესაბამისად
- ✓ მოვერიდოთ ბუდის გახლეჩვას, ბარტყის გადაციების საშიშროების გამო
- ✓ სამამლე გადაბეჭდილი ბარტყის გამოჩენისთავე, ვემზადებით „აღმზრდელი“ ოჯახების შექმნისათვის
- ✓ თაფლოვანი მცენარეების დარგვა
- ✓ საფუტკრის ჟურნალის წარმოება

შესასრულებელი სამუშაოები

- ➢ ტესტი ვაროაზე;
- ➢ თუ 100 ფუტკარში ვაროას რაოდენობა ≥2-ზე, შესაბამისი პრეპარატით ვაროაზე დამუშავება მოქმედი ნივთიერების გათვალისწინებით
- ➢ საკვების სიმცირის შემთხვევაში თაფლიანი ჩარჩოების, თაფლის სიროპის (2:1) კონცენტრაციით მიწოდება, თაფლის არ ქონის შემთხვევაში ინვერსირებული ან შაქრის სიროპის მიწოდება
- ➢ თუ განაპირა ჩარჩოებზე დედას კვერცხდება დაწყებული აქვს, აშენებული ფიჭის ჩამატება განაპირას
- ➢ ვამზადებთ სკებს, ჩარჩოებში ვაკრავთ ფიჭებს, ვადნობთ ცვილს
- ➢ სარწყულებლის გაწყობა ფუტკრისათვის (1-2გრ მარილი 10 ლიტრ წყალში)